ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა

თარიღი: 23 ივლისი, 2019 წელი

დრო: 12:00 -14:00

შეხვედრის ადგილი: ლიბერალური აკადემია თბილისი - ს ოფისი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნათია კუპრაშვილი - ჟურნალისტიკის რესურს ცენტრი
2. ლაშა ტუღუში - ევროპული ინიციატივა - ლიბერალური აკადემია თბილისი
3. მანანა ბიწაძე-მიქელაძე - თავისუფალი არჩევანი
4. ნინო ელიზბარაშვილი - ქალი და ბიზნესი
5. ეკა გეგეშიძე - ჟუნიორ ეჩივმენტი საქართველო
6. მანანა დევიძე - ფონდი კავკასიის ეკოლოგია
7. ლაშა ბლიაძე - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება

განსახილველი საკითხები:

- ფორუმის მიმდინარე საკითხები
- საერთო კრების მომზადებასთან დაკავშირებული საკითხები
- კომუნიკაციის სტრატეგიის დოკუმენტის დამტკიცება
- ფორუმის ეთიკის კოდექსის აქტუალური ასპექტები
- სექტორალური შეხვედრების დაგეგმვის საკითხი
- სხვა საკითხები

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა მმართველი კომიტეტის თავმჯდომარემ, ნათია კუპრაშვილმა.

პირველ საკითხად, სწორედ ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარემ, რომელიც ამჟამად ასევე წარმოადგენს საქართველოს ეროვნულ კოორდინატორს, ისაუბრა აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი საქმიანობისა და სამამომავლო გეგმების შესახებ.

საკოორდინაციო საბჭომ იმსჯელა საერთო კრების ჩატარების თარიღზე, რომელზეც უნდა მოხდეს ახალი თავმჯდომარის არჩევა და ასევე უნდა აირჩეს საკოორდინაციო საბჭოს განახლებული შემადგენლობა.

საკოორდინაციო საბჭომ იმსჯელა ეროვნულ პლატფორმაში მოქმედ წესდებაზე, შეთანხმდა წესდებებში ცვლილებების შეტანის საჭიროებაზე და განსაზღვრა ის ძირითადი საკითხები რომელბიც უნდა აისახოს წესდებაში. შესაბამისად, საბჭოს გადაწყვეტილებით, წესდების ცვლილების პროექტის მომზადება დაევალა ლიბერალური აკადემია - თბილისის ორგანიზაციას, რომელმაც შემდეგ საბჭოს სხდომაზე უნდა წარმოადგინოს ცვლილებების პროექტი, რომელსაც საბჭო განიხილავს და საბოლოოდ წარუდგენს საერთო კრებას დასამტკიცებლად.

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმმა შეიმუშავა ახალი ეთიკის კოდექსი. შესაბამისად, ისინი ითხოვენ რომ, ყველა პლატფორმამ თავისი ეთიკის კოდექსი მოიყვანოს სწორედ ამ ახალ დოკუმენტთან შესაბამისობაში.

საბჭოს გადაწყვეტილებით, ეთიკის კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტის მომზადება და არსებული ეთიკის კოდექსის შესაბამისობაში მოყვანა, ფორუმის მიერ შემოთავაზებულ ახალ დოკუმენტთან, დაევალა სამდივნო ორგანიზაციას. რომელმაც ასევე შემდეგ საბჭოს შეხვედრაზე უნდა წარმოადგინოს ცვლილებების პროექტი, რომელსაც საბჭო განიხილავს და გაიტანს საერთო კრებაზე დასამტკიცებლად.

სამდივნო ორგანიზაციამ, საკოორდინაციო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა პროექტის ფარგლებში შემუშავებული კომუნიკაციის სტრატეგიის დოკუმენტი. საბჭოს წევრებმა კენჭი უყარეს დოკუმენტის დამტკიცებას და ხმათა აბსოლიტური უმრავლესობით მიიღეს აღნიშნული დოკუმენტი.

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე